# გორის მუნიციპალიტეტის
# საკრებულო
## განკარგულება № 183

**2020 წლის 24 დეკემბერი**

ქალაქი გორი

**გორის მუნიციპალიტეტის მერიის
გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია
2021-2023-ის, აღნიშნული სტრატეგიის 2021-2022 წლების
სამოქმედო გეგმის და მონიტორინგის და თვითშეფასების მეთოდოლოგიის
დამტკიცების შესახებ**

დემოკრატიული მმართველობის პრინციპებისა და პრაქტიკის დანერგვა მნიშვნელოვანია დემოკრატიული, დამოუკიდებელი და ძლიერი ინსტიტუტების ჩამოყალიბებისთვის. სწორედ ამ მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერიამ გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შეიმუშავა, რაც მუნიციპალიტეტს კორუფციასთან ბრძოლასა და დემოკრატიული მმართველობის გაძლიერებაში მნიშვნელოვნად დაეხმარება.

საქართველომ მრავალი ნაბიჯი გადადგა დემოკრატიული მმართველობის დანერგვისა და დამოუკიდებელი, ეფექტიანი ინსტიტუტების განმტკიცებისთვის. გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის დამტკიცება პირდაპირ შეესაბამება საქართველოს 2019-2020 წლების ეროვნული ანტიკორუფციულ გეგმაში გამოყოფილ პრიორიტეტებსა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიას. ამასთან, აღნიშნული ინიციატივა ეხმიანება როგორც ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფასეულობებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, ასევე, ანტიკორუფციული ქსელის (OECD-ACN) საქართველოსთვის მიცემულ რეკომენდაციებს და წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს ადგილობრივ დონეზე სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებისა და დემოკრატიული მმართველობის დანერგვის მიმართულებით.

გორის მუნიციპალიტეტი მერიის გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტრატეგია მუნიციპალიტეტის პირველი ანტიკორუფციული სტრატეგიული დოკუმენტია და ეფუძნება მუნიციპალიტეტში ჩატარებულ სიტუაციის ანალიზს. სიტუაციის ანალიზის ფარგლებში შეფასდა მუნიციპალიტეტში არსებული კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობის და მონაწილეობის მექანიზმები და მათი

ეფექტიანობა, რის საფუძველზეც შეირჩა ხუთი სტრატეგიული მიმართულება, რომლის ფარგლებში მომდევნო სამი წლის განმავლობაში მერია კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამს არსებული მექანიზმების გასაუმჯობესებლად და ახალი პრაქტიკის დასანერგად.

გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების 2021-2023 წლების სტრატეგიის ფარგლებში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია სტრატეგიული მიზნების, ამოცანების და მათი შესრულების მონიტორინგი და შეფასება. შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, მონიტორინგის ანგარიშის მომზადება 6 თვეში ერთხელ, ხოლო თვითშეფასების ანგარიში მომზადდება წელიწადში ერთხელ, რომელიც გამოქვეყნდება ვებ-გვერდზე და ძირითადი მიგნებების განხილვა მოხდება საჯაროდ. გორის მუნიციპალიტეტის მერიას სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში მხარდაჭერას USAID-ის პროექტი ,,დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში" და მისი ექსპერტები უწევდნენ. სტრატეგიის შემუშავების პროცესში მერიამ უზრუნველყო სამოქალაქო საზოგადების და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია 2021-2023-ი, აღნიშნული სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა და მონიტორინგის და თვითშეფასების მეთოდოლოგია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-19 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს:
   ა) „გორის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია 2021-2023" დანართი 1-ის შესაბამისად.
   ბ) დამტკიცდეს „გორის მუნიციპალიტეტისმერიის გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა" დანართი 2-ის შესაბამისად.
   გ) დამტკიცდეს „გორის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია 2021-2023"-ის მონიტორინგის და თვითშეფასების მეთოდოლოგია დანართი 3-ის შესაბამისად.
2. დაევალოს გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს ამ განკარგულების 1-ლი პუნქტით დამტკიცებული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება.
3. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება დაინტერესებული პირის მიერ შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე — დავით რაზმაძე

დანართი 1

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

## დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა

# გორის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია

2021-2023



PHOTO CREDIT TETRA TECH

აგვისტო 2020

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ განსახილველად. დოკუმენტი მომზადდა Tetra Tech-ის მხარდაჭერით.

# 1. შესავალი

დემოკრატიული მმართველობის პრინციპებისა და პრაქტიკის დანერგვა მნიშვნელოვანია დემოკრატიული, დამოუკიდებელი და ძლიერი ინსტიტუტების ჩამოყალიბებისთვის. სწორედ ამ მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერიამ გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შეიმუშავა, რაც მუნიციპალიტეტს კორუფციასთან ბრძოლასა და დემოკრატიული მმართველობის გაძლიერებაში მნიშვნელოვნად დაეხმარება.

საქართველომ მრავალი ნაბიჯი გადადგა დემოკრატიული მმართველობის დანერგვისა და დამოუკიდებელი, ეფექტიანი ინსტიტუტების განმტკიცებისთვის. გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის დამტკიცება პირდაპირ შეესაბამება საქართველოს 2019-2020 წლების ეროვნული ანტიკორუფციულ გეგმაში[1] გამოყოფილ პრიორიტეტებსა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიას.[2] ამასთან, აღნიშნული ინიციატივა ეხმიანება როგორც ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფასეულობებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, ასევე, ანტიკორუფციული ქსელის (OECD-ACN) საქართველოსთვის მიცემულ რეკომენდაციებს და წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს ადგილობრივ დონეზე სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებისა და დემოკრატიული მმართველობის დანერგვის მიმართულებით.

გორის მუნიციპალიტეტი მერიის გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტრატეგია მუნიციპალიტეტის პირველი ანტიკორუფციული სტრატეგიული დოკუმენტია და ეფუძნება მუნიციპალიტეტში ჩატარებულ სიტუაციის ანალიზს. სიტუაციის ანალიზის ფარგლებში შეფასდა მუნიციპალიტეტში არსებული კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობის და მონაწილეობის მექანიზმები და მათი ეფექტიანობა, რის საფუძველზეც შეირჩა ხუთი სტრატეგიული მიმართულება, რომლის ფარგლებში მომდევნო სამი წლის განმავლობაში მერია კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამს არსებული მექანიზმების გასაუმჯობესებლად და ახალი პრაქტიკის დასანერგად.

გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების 2021-2023 წლების სტრატეგიის ფარგლებში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია სტრატეგიული მიზნების, ამოცანების და მათი შესრულების მონიტორინგი და შეფასება. შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, მონიტორინგის ანგარიში მომზადება 6 თვეში ერთხელ, ხოლო თვითშეფასების ანგარიში მომზადდება წელიწადში ერთხელ, რომელიც გამოქვეყნდება ვებ-გვერდზე და ძირითადი მიგნებების

---

[1] საქართველოს 2019-2020 წლების ანტიკორუფციული სტრატეგია, https://justice.gov.ge/Ministry/Index/174.

[2] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის დადგენილება N678 „დეცენტრალიზაციის 2020–2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ'', https://matsne.gov.ge/ka/document/view/4764626?publication=0.

განხილვა მოხდება საჯაროდ. გორის მუნიციპალიტეტის მერიას სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში მხარდაჭერას USAID-ის პროექტი „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში" და მისი ექსპერტები უწევდნენ. სტრატეგიის შემუშავების პროცესში მერიამ უზრუნველყო სამოქალაქო საზოგადების და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობა.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2021-2023 წლის გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიას, სამოქმედო გეგმასა და მონიტორინგის მეთოდოლოგიას ამტკიცებს გორის მუნიციპალიტეტის მერია. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა განხორციელების პროცესში ექვემდებარება პერიოდულ გადახედვას და შესაბამისად, საჭიროებისამებრ განახლებას.

# 2.ხედვა და სტრატეგიული მიმართულებები

გორის მუნიციპალიტეტის მერიის **მიზანია** ანგარიშვალდებულების, კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობის და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა და მტკიცებულებაზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება კორუფციასთან ბრძოლასა და დემოკრატიული მმართველობის გაძლიერებაში. ამასთან, მერია მიზნად ისახავს თვითმმართველობაში კორუფციული რისკების გამოვლენასა და კორუფციის აღმოფხვრას, რაც ხელს შეუწყობს მერიის მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდას. დამატებით, აღნიშნული სტრატეგიის ძირითად მიზანს გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების კეთილდღეობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

სტრატეგია ეფუძნება მუნიციპალიტეტში განხორციელებულ სიტუაციის ანალიზს, რომლის ფარგლებშიც შესწავლილ იქნა გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის არსებული ტენდენციები და პრაქტიკა. განხორციელებული სიტუაციის ანალიზი ეფუძნება კვლევის კომბინირებულ მიდგომას, რომელიც აერთიანებს სამაგიდე კვლევას და თვისებრივი კვლევის შედეგებს, რაც უზრუნველყოფს, რომ სტრატეგიული პრიორიტეტები განსაზღვრულია **მტკიცებულებაზე დაფუძნებული** პრინციპის გათვალისწინებით. ამასთან, სტრატეგიის შემუშავება ეფუძნება ე.წ. "ქვემოდან ზემოთ" ("bottom up") მიდგომას, რაც გულისხმობს დაინტერესებული მხარეების **მონაწილეობისა** და პროცესის **გამჭვირვალობის** უზრუნველყოფას.

სიტუაციის ანალიზის შედეგების თანახმად, მუნიციპალიტეტში არსებობს არაერთი მექანიზმი, რომელიც დემოკრატიული მმართველობის პრინციპების დამკვიდრებას უწყობს ხელს, მათ შორის:

- ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მიღებულია რეგულაციები ადგილობრივ დონეზე;

- ამოქმედებულია მოქალაქეთა მონაწილეობის ყველა, კანონით გათვალისწინებული მექანიზმი;
- დანერგილია მოქალაქეთა მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამა;
- თანამდებობის პირთა მიერ კანონმდებლობების შესაბამისად ხორციელდება ქონებრივი დეკლარაციების შევსება;
- ადამიანური რესურსების მართვის და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით ტარდება სხვადასხვა ტიპის ტრენინგები. ამასთან, დანერგვის პროცესშია შიდა გამოცდილების გაზიარების ინსტიტუციური მექანიზმი;
- გამარტივებული შესყიდვების წილი საერთო შესყიდვებში დაბალია.

ამასთან, გორის მერია აცნობიერებს, რომ კვლავ რჩება გამოწვევები ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებებით, როგორიცაა ადამიანური რესურსების მართვა; პოლიტიკის დაგეგმვა, განხორციელება და აღსრულება; ეთიკის ნორმების დაცვის ხელშეწყობა; მამხილებელთა დაცვა; ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება; მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების ეფექტიანობის გაუმჯობესება; მერიის მიერ დადებული კონტრაქტების განხორციელების პროცესის მონიტორინგის უზრუნველყოფა; მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის ეფექტიანობის გაუმჯობესება.

შესაბამისად, გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის განმტკიცების მიზნით მერია შემდეგი ხუთი პრიორიტეტული მიმართულებით იმუშავებს:

1

**პოლიტიკის დაგეგმვა და აღსრულება**

პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელების მონიტორინგის და შეფასების სისტემის დანერგვა.

2

**კორუფციის პრევენცია და აღმოფხვრა**

კორუფციული რისკების პრევენციის და აღმოფხვრის ხელშეწყობა.

3

**ადამიანური რესურსების მართვა**

ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესება და განვითარება, რაც გულისხმობს ეფექტიანი, გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული, პოლიტიკურად ნეიტრალური და პროფესიულ სტანდარტებზე დაფუძნებული ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმის შექმნას.

4

**ინფორმაციის ხელმისაწვდომობა**

გორის მუნიციპალიტეტში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა.

5

**მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში**

გორის მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობა.

1

# პოლიტიკის დაგეგმვა და აღსრულება

**პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელების მონიტორინგის და შეფასების სისტემის დანერგვა**

მიუხედავად რიგი მექანიზმებისა, რომელსაც მუნიციპალიტეტი ეფუძნება ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვისა და აღსრულებისას, კვლავ გამოწვევად რჩება უნიფიცირებული მეთოდოლოგიის თუ თანმიმდევრული პრაქტიკის არსებობა, რომელიც დაეფუძნება პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელების, სტანდარტს. ამასთან, გამოწვევად რჩება მონიტორინგის და შეფასების მექანიზმი, რომელიც შესაძლებელს გახდის ინიციატივების განხორციელების პროცესის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას.

საქართველოს მთავრობის მიერ არსებული პოლიტიკის დაგეგმვის, მისი განხორციელების კოორდინაციის, მონიტორინგის და შეფასების ეფექტური ფუნქციონირებისთვის და შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავების პრინციპის უზრუნველყოფისთვის, საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში შემუშავდა "პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგის და შეფასების წესი",[3] რომელიც საქართველოს მთავრობის დადგენილით, 2019 წლის დეკემბერში დამტკიცდა. მართალია, პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგის და შეფასების წესი სავალდებულოდ ვრცელდება მთავრობისთვის დასამტკიცებელი პოლიტიკის დოკუმენტებზე და მას მუნიციპალიტეტისთვის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს, გორის მუნიციპალიტეტის მერიისთვის მნიშვნელოვანია გაიზიაროს სტრატეგიული დაგეგმვის დამკვიდრებული პრაქტიკა.

ასევე, არსებული პრაქტიკის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია, როგორც თანამშრომელთა ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება პოლიტიკის შემუშავების, განხორციელების, აღსრულების და შეფასების სტანდარტიზებული მიდგომების და მეთოდოლოგიის შესახებ.

[3] საქართველოს მთავრობის დადგენილა N629, "პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ", https://bit.ly/2PharPX.

## ამოცანები

### *1.1 მერიის შიდა რეგულაციის საფუძველზე, სტრატეგიული დაგეგმვის პრაქტიკის დანერგვა.*

მერია დანერგავს სტრატეგიული დაგეგმვის პრაქტიკას, რომელიც შესაძლებელს გახდის მოქალაქეების საჭიროებებზე და შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავებას. სტრატეგიული დაგეგმვის ფარგლებში, მთავრობის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო წესის პრინციპების გათვალისწინებით ადგილობრივ დონეზე მერია დანერგავს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისა და მონიტორინგის უნიფიცირებულ მექანიზმს შიდა რეგულაციის საფუძველზე.

### *1.2 მერიის შიდა რეგულაციის საფუძველზე სისტემის დანერგვა, რომელიც გადაწყვეტილების მიღების „ქვემოდან ზემოთ" პრინციპის (bottom-up) დაცვას უზრუნველყოფს.*

მერია დანერგავს სისტემას, რომლის მიხედვითაც მერიის როგორც ქვედა ასევე ზედა რგოლის თანამშრომელთა სრულ ჩართულობას გაზრდის. ამასთან შესაძლებელი იქნება პოლიტიკის შემუშავების პროცესში თანამშრომელთა ქვედა დონეზე არსებული პრობლემების და იდეების გათვალისწინება.

# 2

# კორუფციის პრევენცია და აღმოფხვრა

**კორუფციული რისკების პრევენციის და აღმოფხვრის ხელშეწყობა.**

გორის მუნიციპალიტეტის მერია კორუფციასთან ბრძოლის მიზნით ხელმძღვანელობს საქართველოში არსებული კანონმდებლობით, როგორიცაა საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ"[4], საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ"[5], "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და სხვა შესაბამისი რეგულაციები,[6] ხოლო მერიის შიგნით კორუფციასთან ბრძოლის საკითხებზე პასუხისმგებელია შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური. მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირები კანონის თანახმად ყოველწლიურად ავსებენ სავალდებულო ქონებრივ დეკლარაციებს და იცავენ კანონით დადგენილ ნორმებს. მერია აცნობიერებს ძალისხმევის გამტკიცების აუცილებლობას საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის პრევენციისა და ეთიკის ნორმების განმტკიცების მიმართულებით, როგორებიცაა თანამშრომლების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა ინტერესთა შეუთავსებლობის, ე.წ. "მბრუნავი კარის", მამხილებელთა დაცვის ინსტიტუტისა და სხვა საკვანძო საკითხების შესახებ. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტს არ გააჩნია თვითმმართველობის საჭიროებებზე მორგებული ეთიკის კოდექსი. ამასთან, არ არის უზრუნველყოფილი მამხილებელთა გვერდის გამოყენება და თანამშრომელთა უნარების გაძლიერება და თვითშეგნების ცვლილების ხელშეწყობა, რათა მათ მოახდინონ შესაძლო კორუფციის შემთხვევების დროული და ეფექტიანი მხილება.

აღსანიშნავია, რომ გორის მუნიციპალიტეტის მერიაში არ არსებობს კორუფციის რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების სტანდარტიზებული სისტემა. ამ მხრივ აღსანიშნავია იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული კორუფციის რისკების შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც საჯარო დაწესებულებაში სხვადასხვა ტიპის

---

[4] საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ", https://matsne.gov.ge/ka/document/view/33550?publication=74.

[5] საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ", https://matsne.gov.ge/ka/document/view/3031098?publication=31.

[6] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=51.

კორუფციული რისკების გამოვლენისა და მათზე რეაგირების სახელმძღვანელო პრინციპებს მოიცავს.[7]

ამასთან, 2017-2018 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული ეფექტიანობის აუდიტის შედეგად გამოვლენილი იყო რიგი შემთხვევებისა, როდესაც ტენდერებში შემზღუდავი კრიტერიუმების გამო შესაძლოა შეიზღუდა კონკურენცია, ხოლო დადებული ხელშეკრულებების აღსრულებაში აღინიშნებოდა ხარისხისა და ვადების დარღვევები, რაც დამატებით ტვირთად აწვებოდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს. გარდა ამისა, აუდიტის სამსახურის მიგნებების მიხედვით, საყურადღებოა გორის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მუშაობის გაუმჯობესების საკითხი, რათა უფრო ეფექტიანად განხორციელდეს მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება. დამატებით, ამჟამად არ ხდება შიდა აუდიტის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობისა და მათი ინფორმირების უზრუნველყოფა.

### ამოცანები

#### *2.1 გორის მუნიციპალიტეტის მერიაში კორუფციული რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების სისტემის დანერგვა.*

მერია შეიმუშავებს და დანერგავს კორუფციის რისკების შეფასების სტანდარტიზებულ სისტემას, რომლის დროსაც მხედველობაში იქნება მიღებული იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული კორუფციის რისკების შეფასების მეთოდოლოგია. მერია უზრუნველყოფს იმ შესაბამისი პირების კომპეტენციებისა და უნარების გაძლიერებას, რომლებიც უშუალოდ განახორციელებენ კორუფციის რისკების რეგულარულ იდენტიფიცირებას და შეფასებას, როგორც მერიაში შემავალ სამსახურებში, ასევე, მერიის დაქვემდებარებაში არსებულ იურიდიულ პირებში.

#### *2.2 საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის პრევენციისა და ეთიკის ნორმების დაცვის ხელშეწყობა.*

გორის მუნიციპალიტეტის მერია, საჯარო სამსახურის ბიუროსთან თანამშრომლობით, განახორციელებს თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციასთან ბრძოლის საკითხებზე. დამატებით, არსებული ნორმების გამარტივების მიზნით, მერია შეიმუშავებს ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებულ ეთიკის კოდექსს და უზრუნველყოფს ეთიკის კოდექსის თაობაზე თანამშრომლების, მათ შორის, მერიის დაქვემდებარებაში არსებულ იურიდიულ პირებში დასაქმებული კადრების, ცნობიერების ამაღლებას.

---

[7] საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, "კორუფციის რისკების შეფასების მეთოდოლოგია", https://justice.gov.ge/Ministry/Index/1576.

### *2.3 მხილების ინსტიტუტის გამოყენების ხელშეწყობა.*

გორის მუნიციპალიტეტის მერია ხელს შეუწყობს მხილების ინსტიტუტის შესახებ თანამშრომელთა, მათ შორის, მერიის დაქვემდებარებაში არსებულ იურიდიულ პირებში დასაქმებულ პირთა ცნობიერების ამაღლებასა და დამოკიდებულებების ცვლილებას, მათ შორის მამხილებლის ინსტიტუტის მნიშვნელობის შესახებ თანამშრომელთა ინფორმირებას. მხილების განხორციელების გამარტივების მიზნით, მერია მამხილებლის გვერდის (mkhileba.gov.ge) ინტეგრირებას მოახდენს მერია და მის დაქვემდებარებაში მყოფი იურიდიული პირების ვებ-გვერდებზე.

### *2.4 შიდა აუდიტის და ინსპექტირების საქმიანობის ხელშეწყობა და გაძლიერება.*

მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის შესაძლებლობების გაძლიერებას, მათ შორის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ისევე, როგორც საქართველოს და საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას. ამასთან, მერია ხელს შეუწყობს შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდასა და აუდიტის დაგეგმვაში მოქალაქეთა მონაწილეობას, რაც გულისხმობს აუდიტის ანგარიშის შედეგების ხელმისაწვდომობის გაზრდას, როგორც მერიის და საკრებულოს წარმომადგენელთათვის, ასევე, მოქალაქეებისთვის. უზრუნველყოფილი იქნება აუდიტის საქმიანობაში, მათ შორის მომავალი წლის აუდიტის გეგმის შემუშავებაში მოქალაქეთა მონაწილეობა.

### *2.5 შესყიდვების გამჭვირვალობისა და განხორციელებული შესყიდვების ზედამხედველობის ხელშეწყობა.*

გორის მუნიციპალიტეტის მერია ხელს შეუწყობს ადგილობრივი შესყიდვების განხორციელებისას კონკურენტული გარემოს შექმნასა და პროცესის საჯაროობას ადგილობრივი შესყიდვების თაობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. ამასთან, მერია დანერგავს მერიის მიერ გაფორმებული სამუშაოს შესრულების, მომსახურების გაწევის თუ საქონლის მიწოდების საფუძვლით დადებული ხელშეკრულებების მონიტორინგის სისტემას ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით. აღნიშნული პლატფორმა ზედამხედველ ორგანოსა და სხვა დაინტერესებულ პირებს ხელშეკრულების მიმდინარეობისას ხარვეზების გამოვლენისა და დროული აღმოფხვრის შესაძლებლობას მისცემს.

# 3

# ადამიანური რესურსების მართვა

**ეფექტიანი, გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული, პოლიტიკურად ნეიტრალური და პროფესიულ სტანდარტებზე დაფუძნებული ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმის შექმნა.**

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულ მოხელეთა დასაქმებისა და სამსახურის გავლის პირობებს, ასევე, საჯარო სამსახურის მართვის საკითხებს საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ[8] აწესრიგებს. სამსახურში მიღება ყველა პროცედურის დაცვით ხორციელდება, რაც გულისხმობს, რომ ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ სრულად ქვეყნდება.

დასაქმებული კადრების გადამზადება ძირითად გულისხმობს პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას და სხვადასხვა სასწავლო კურსების შეთავაზებას. მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება გორის მუნიციპალიტეტის მერიის პრიორიტეტს წარმოადგენს, შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული მოხელეთა გადამზადება გათვალისწინებულია ბიუჯეტით, რაც არსებული შიდა ხარჯების 1-% არის განსაზღვრული და რომლის ათვისებასაც მერიამ სრულად მოახერხა გასულ წელს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის[9] რეკომენდაციის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის მერიამ შიდა ბრძანებით დაამტკიცა საზღვარგარეთ მივლინებასთან დაკავშირებული წესი,[10] რომელიც გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელთა ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინების ანგარიშს შევსებას და წარდგენას ავალდებულებს, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ორგანიზაციის ინსტიტუციურ განვითარებას

მიუხედავად რიგი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯებისა, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიის ადამიანური რესურსების მართვის სისტემას აუმჯობესებს, მათ შორის პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებული

[8] საქართველოს კანონი, „საჯარო სამსახურის შესახებ", https://bit.ly/2BWV7Vy.
[9] სახელმწიფო აუდიტის სამსახური, გორის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების შესაბამისობის ანგარიში, https://bit.ly/39vnruF.
[10] გორის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N1353, „მერიის მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინების ანგარიშის ფორმის დამტკიცების და მისი შევსების ინსტრუქციის განსაზღვრის თაობაზე", https://bit.ly/30ovkio.

კურსები, მთავარ გამოწვევად კვლავ მოხელეთა კვალიფიკაცია რჩება, რაც კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებების შეფასებისა და მათი გადამზადების სტანდარტიზებული და თანმიმდევრული სისტემის დანერგვის საჭიროებას გულისხმობს.

ამასთან, გორის მუნიციპალიტეტის მერიის არანაკლებ მნიშვნელოვან გამოწვევას მერიის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებში არსებული ადამიანური რესურსების მართვის პროცესი წარმოადგენს.

## ამოცანები

### *3.1 მერიაში ადამიანური რესურსების მართვის და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.*

გორის მუნიციპალიტეტის მერია მოამზადებს ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების სტრატეგიას. სტრატეგიის ფარგლებში განსაზღვრული იქნება უნიფიცირებული სისტემის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს მერიის თანამშრომელთა გადამზადებას და ხელმისაწვდომი იქნება ყველა რანგის საჯარო მოხელეთათვის.

### *3.2 მერიაში ცოდნის და გამოცდილების შიდა ინსტიტუციური პრაქტიკის დანერგვა.*

მუნიციპალიტეტის მერია შიდა რეგულაციის მიხედვით დანერგავს მექანიზმს, რომელიც სტრუქტურულ ერთეულებს შორის ცოდნისა და გამოცდილების ინსტიტუციური გაზიარებას შეუწყობს ხელს, განსაკუთრებით თანამშრომელთა ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინების შემთხვევებში.

### *3.3 მერიაში პოლიტიკურად ნეიტრალური და პროფესიულ სტანდარტებზე დაფუძნებული ადამიანური რესურსების მართვის ხელშეწყობის მიზნით, თანამშრომელთა დამოუკიდებლობის გაზრდა.*

გორის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას საჯარო სამსახურში პოლიტიკური ნეიტრალიტეტის ფორმების, ისევე როგორც მისი საჯარო სამსახურის ეფექტიანი ფუნქციონირების პროცესზე ნეგატიური გავლენის ასპექტების შესახებ.

### *3.4 მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებში ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება.*

გორის მუნიციპალიტეტის მერია შეიმუშავებს მიდგომას, რომელიც მოახდენს საკადრო რესურსის ოპტიმიზაციას და ამასთან დანერგავს მონიტორინგის სისტემას, რომელიც შესაძლებელს გახდის დასაქმების პროცესზე მონიტორინგის განხორციელებას.

4

# ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

**გორის მუნიციპალიტეტში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა.**

გორის მუნიციპალიტეტის მერიამ გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით არაერთი ნაბიჯი გადადგა. საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ხელშესაწყობად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2018 წლის 13 აპრილს მიიღო დადგენილება № 29 „საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ",[11] ხოლო შემდგომ 2020 წლის 13 მარტს №15 დადგენილებით განახორციელა ცვლილებები.[12] დადგენილება ისეთი ინფორმაციის გამოქვეყნებას არეგულირებს, როგორიცაა: საკრებულოს სხდომების ოქმები, მრჩეველთა საბჭოს შეხვედრების ოქმები, მუნიციპალური პროგრამების შესრულების ანგარიშები, მუნიციპალიტეტის პრივატიზაციის გეგმა, წარდგენილი პეტიციები, მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული სამართლებრივი აქტები და სხვა. ამასთან, დადგენილება არეგულირებს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხას და დასაშვებ ფორმატს (MS Word, Excel), რაც მომხმარებელს ინფორმაციის დამუშავების საშუალებას მისცემს.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე რეაგირება დამაკმაყოფილებელია და კანონის მოთხოვნების შესაბამისად ხორციელდება. წარმატებული პრაქტიკის მიუხედავად, მერია აცნობიერებს, რომ კადრების გადანაწილებისა და უფლება-მოვალეობების მკაფიო განსაზღვრის კუთხით არსებული გამოწვევები რიგ შემთხვევებში აფერხებს ინფორმაციის დროულად მიწოდების პროცესს. ამასთან, მიუხედავად მერიის მიერ წინ გადადგმული ნაბიჯებისა, პრობლემური რჩება მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული დადგენილებით განსაზღვრული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის სრულად, დამუშავებად ფორმატში გამოქვეყნება და მერიის ვებ-გვერდზე საძიებო სისტემის ეფექტიანობის უზრუნველყოფა. დამატებით, მოქალაქეთა

---

[11] გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება № 29 „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ", https://bit.ly/3357wlx.

[12] გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N15 "საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის N29 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, https://bit.ly/30XvM6h.

ინფორმირებისთვის მერია აქტიურად იყენებს სოციალურ მედიასა და მერიის ვებ-გვერდს, თუმცა, ყურადღებას საჭიროებს მოქალაქის ინფორმირების დამატებითი, პერსონალური სერვისები, როგორიც არის მოკლე ტექსტური შეტყობინება და სხვა.

## ამოცანები

### *4.1 ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაზრდა.*

ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მუნიციპალიტეტი მერიის ხელთ არსებულ მონაცემების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად დამუშავებად ფორმატში მოამზადებს და შესაბამის ბაზებში განათავსებს. ამასთან, დაინტრესებულ მხარებთან (ბიზნესი, აკადემია, არსამთავრობო სექტორი) კონსულტაციის გზით მოხდება მოთხოვნადი ინფორმაციის/ბაზების იდენტიფიცირება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა აღნიშნული ინფორმაციის ფორმატს, რათა უზრუნველყოფილი იყოს დაინტერესებული პირების მიერ ინფორმაციის დამუშავების შესაძლებლობა.

### *4.2 საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად მიწოდების ხელშეწყობა.*

მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს კანონით გათვალისწინებული პროაქტიული ინფორმაციის ნუსხის ვებგვერდზე გამოქვეყნებას მარტივად დამუშავებად ფორმატში და საძიებო ფორმატის გაუმჯობესებას. ამასთან, მერია დანერგავს მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდების ინოვაციურ მეთოდებს, როგორიცაა მოკლე ტექსტური შეტყობინებები, ქალაქში განთავსებული მონიტორების გამოყენება და სხვა.

### *4.3 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე დროული და ეფექტიანი რეაგირების უზრუნველყოფა.*

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე დროული და ეფექტიანი რეაგირების მიზნით, მუნიციპალიტეტის მერია შეიმუშავებს საკადრო პოლიტიკას და უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების ეფექტიანად გამოყენებას. ამასთან, საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ჩატარდება ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს საჯარო ინფორმაციის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შეგროვებას, დამუშავებად მომზადებას და გაამარტივებს ინფორმაციის დროულად და ეფექტიანად გაცემას.

### *4.4. მერიის დაქვემდებარებაში მყოფი იურიდიული პირების გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა.*

მერია შეისწავლის მის დაქვემდებარებაში არსებული იურიდიული პირებში ინფორმაციის დამუშავებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პრაქტიკას და მიგნებებზე დაფუძნებით, შეიმუშავებს გამჭვირვალობის გაზრდის გეგმას. ამასთან, მერია დანერგავს ა(ა)იპ-ების ანგარიშგების სტანდარტიზებულ პრაქტიკას, რომელიც

ითვალისწინებს საჯარო ანგარიშგების კომპონენტს. მერია უზრუნველყოფს ა(ა)იპ-ების შესახებ ინფორმაციის სრულად, დროულად და დამუშავებად ფორმატში გამოქვეყნებას.

# 5 მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

**გორის მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობა.**

გორის მუნიციპალიტეტში კანონით გათვალისწინებული ყველა მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმი ამოქმედებულია, მათ შორის: მრჩეველთა საბჭო, პეტიცია, დასახლების საერთო კრება, მერისა და საკრებულოს წევრების ანგარიშების წარდგენა და საკრებულოს სხდომებზე დასწრება. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მერია 2016 წლიდან ახორციელებს სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტს, რომელიც ადგილობრივი თანამონაწილეობითი ბიუჯეტირების მექანიზმს წარმოადგენს და მოქალაქეებს წინადადებების წარდგენისა და მათი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსების საშუალებას იძლევა. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა წარმატებით ხორციელდება. თუმცა, გამოწვევად რჩება სხვა ჩართულობის მექანიზმების ეფექტიანობა, რაზეც მათი გამოყენების სტატისტიკა მოწმობს. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტმა დანერგა ელექტრონული პეტიციის მოდული და მოახდინა მის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება, ბოლო სამი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში არ შესულა პეტიცია (ელექტრონულად ან წერილობით). გამოწვევად რჩება მერისა და საკრებულოს წევრების საქმიანობის ანგარიშების პრეზენტაციებსა და საკრებულოს სხდომებზე დასწრება მიუხედავად წინასწარი ანონსისა სოციალურ ქსელებსა და თვითმმართველობის ვებ-გვერდებზე. მერია ასევე აცნობიერებს მრჩეველთა საბჭოს მნიშვნელობასა და მისი, როგორც სათათბირო ორგანოს, ეფექტიანობის გაზრდის აუცილებლობას. ამავდროულად, გორის მუნიციპალიტეტის მერია მნიშვნელოვნად მიიჩნევს საკუთარ უფლებებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მექანიზმების თაობაზე[13] მოქალაქეთა უკეთ ინფორმირების მიზნით დამატებითი ძალისხმევის გაწევას.

## ამოცანები

### *5.1 არსებული მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების ეფექტიანობის შესწავლა და მათი გაუმჯობესების ხელშეწყობა.*

მუნიციპალიტეტის მერია შეისწავლის მოქალაქეთა მონაწილეობის თითოეული მექანიზმის ეფექტიანობას, როგორც კანონით გათვალისწინებული ნორმების, ასევე,

[13] გორის საინფორმაციო ცენტრი, „ადგილობრივი სერვისები გორის მუნიციპალიტეტში: პრაქტიკა, დამოკიდებულება და განწყობები", 2019, https://bit.ly/2Xp2MmZ.

პრაქტიკული ფაქტორების გათვალისწინებით. გამოვლენილი ხარვეზების საფუძველზე, მუნიციპალიტეტი განახორციელებს ცვლილებებს კანონმდებლობაში და გადადგამს პრაქტიკულ ნაბიჯებს მათ გასაუმჯობესებლად.

### *5.2 მოქალაქეთა ინფორმირებისა და უნარების გაძლიერების ხელშეწყობა მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების მნიშვნელობასა და მათი გამოყენების გზებზე.*

მუნიციპალიტეტის მერია გაატარებს ზომებს მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა თვითმმართველობის კომპეტენციები და უფლებამოსილებები, თვითმმართველობაში მონაწილეობის მიმართულებით მოქალაქის უფლებები, არსებული მონაწილეობითი მექანიზმების მნიშვნელობა და მათი გამოყენების გზები. ამასთან, არსებული ჩართულობის მექანიზმების გამოყენების პრაქტიკის დანერგვის მიზნით, მერია ითანამშრომლებს სამოქალაქო საზოგადოებასთან და სხვა საჯარო უწყებებთან მოქალაქეების ცნობიერების ამაღლებისა და უნარების გასაძლიერებლად, რათა მათ აქტიურად გამოიყენონ მონაწილეობითი მექანიზმები. დამატებით, მუნიციპალიტეტის მერია დაგეგმილი სხდომების, პრეზენტაციებისა და შეხვედრების თაობაზე მოქალაქეთა პროაქტიულად ინფორმირების არსებული პრაქტიკას გააუმჯობესებს.

### *5.3 მოქალაქეთა წინადადებებზე ეფექტიანი და სტანდარტიზებული უკუკავშირის მექანიზმის დანერგვა.*

მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმებისადმი ნდობის გაზრდის მიზნით, მერია დანერგავს უკუკავშირის მექანიზმს და აიღებს ფორმალურ ვალდებულებას, უპასუხოს მოქალაქეთა მიერ მოწოდებულ რეკომენდაციებსა და ინიციატივებს და განმარტოს წერილობით, ზეპირად ან ელექტრონული ფორმით თუ რატომ გაითვალისწინა ან ვერ გაითვალისწინა აღნიშნული წინადადებები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უკუკავშირის მექანიზმის დანერგვა მრჩეველთა საბჭოში, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მის ფუნქციონირებას.

### *5.4 ელექტრონული მმართველობისა და ინოვაციური მეთოდების დანერგვა მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.*

მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების ხელმისაწვდომობისა და გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერია დანერგავს ელექტრონულ მმართველობასა და ინოვაციურ მეთოდებს, როგორიცაა სხდომებისა და პრეზენტაციების პირდაპირი ტრანსლაცია, ვებგვერდზე ინტეგრირებული მოქალაქეთა მოსაზრებების მიღების ახალი მოდულები, მოქალაქეთა პერსონალური ინფორმირების მეთოდები და სხვა.

### *5.5 მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვის, განხორციელებისა და ზედამხედველობის პროცესში მოქალაქეთა ინფორმირებისა და მონაწილეობის ხელშეწყობა.*

მუნიციპალიტეტის მერია ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ინფორმირებას საბიუჯეტო პროცესების, მათ შორის, გამარტივებული ბიუჯეტის პროექტის - მოქალაქის გზამკვლევის პროაქტიულად გამოქვეყნებით(როგორც ბეჭდურად, ასევე ელექტრონული საშუალებებით). ამასთან, მერია ხელს შეუწყობს საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერებას.

# 3. განხორციელება

გორის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების 2021-2022 წლების სტრატეგიის განხორციელება დაეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

***პროცესის გამჭვირვალობა და ღიაობა:*** სტრატეგიის მომზადების და განხორციელების პროცესში ღიაობა მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებისა და მოქალაქეთა გაძლიერების ხელშეწყობისთვის. ამასთან, გამჭვირვალე პროცესები და პოლიტიკის დოკუმენტების ხელმისაწვდომობა ზრდის საზოგადოების მხრიდან მთავრობის მიერ დასახული მიზნების აღსრულების კონტროლის შესაძლებლობას,[14] ხოლო თვითმმართველობის მხრიდან ანგარიშვალდებულების შეგრძნებას მოქალაქეების მიმართ.

***მოქალაქეთა ჩართულობა:*** ღია მმართველობა მოითხოვს თანამშრომლობას სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის. სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა მნიშნელოვანია მოქალაქეთა საჭიროებებისა და მოსაზრებების ასახვისთვის ადგილობრივ დონეზე გადაწვეტილების მიღების პროცესში. ამასთან, მოქალაქეთა მონაწილეობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების, არამედ მათი შესრულებისა და მონიტორინგის და თვითმმართველობის საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელების პროცესში.

***ანგარიშვალდებულება და კეთილსინდისიერება:*** სტრატეგიის განხორციელებისას გორის მუნიციპალიტეტის მერია ანგარიშვალდებული იქნება სამოქალაქო საზოგადოებასთან, რაც ერთი მხრივ, გაზრდის მოქალაქეთა ნდობას პროცესისადმი, ხოლო მეორე მხრივ, მოქალაქეებს პროცესზე დაკვირვებისა და ზედამხედველობის საშუალებას მისცემს. ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფისთვის, მერია კეთილსინდისიერად, დროულად და რეგულარულად მიაწოდებს მოქალაქეებს ინფორმაციას სტრატეგიით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების პროგრესის თაობაზე.

***მტკიცებულებებზე დამყარებული მიდგომა:*** სტრატეგიის შემუშავება, ისევე, როგორც განხორციელება, ეფუძნება მასში მოცემული პრობლემების გამომწვევი ფაქტორებისა და რისკების შესწავლას, ჩატარებული ღონისძიებების ანალიზს და წინა სტრატეგიული დოკუმენტების შესრულების შეფასებას.15 ამასთან,

---

[14] სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა, მათი საჭიროებებისა და მოსაზრებების გათვალისწინება

[15] გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, „ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავების სახელმძღვანელო“ (2003), გვ. 42.

გათვალისწინებულია, როგორც თვითმმართველი ორგანოების, ასევე, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების შეხედულებები.

***გუნდურობა - სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინაცია და ოპერატიულობა:*** მჭიდრო კოორდინაცია და ინფორმაციის დროული გაცვლა სტრუქტურულ ერთეულებს ორგანოებს შორის უმნიშვნელოვანესია წარმატებული პოლიტიკის დაგეგმვის, იმპლემენტაციისა და დასახული მიზნების მიღწევისთვის.

***შედეგზე ორიენტირებული მიდგომა:*** ღონისძიებების დაგეგმვისას გორის მუნიციპალიტეტის მერიამ დაისახავს რეალისტურ მიზნებს და მხედველობაში მიიღებს კონკრეტულ ღონისძიებებთან დაკავშირებული საბაზისო/არსებულ მონაცემებს, რომლებიც შემდგომი ნაბიჯების შედეგების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.[16]

გორის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების 2021-2022 წლების სტრატეგიის განხორციელების ეფექტური კოორდინაციისათვის  მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგება გორის მუნიციპალიტეტის მერიაში და მის დაქვემდებარებულ იურიდიულ პირების, საკრებულოს, სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან. სამუშაო ჯგუფი იმუშავებს როგორც საკოორდინაციო მექანიზმი, რომელიც სტრატეგიით განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულების შესრულების პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს.

[16] გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, „ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავების სახელმძღვანელო“ (2003), გვ. 43.

# 4. მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშგება

გორის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების 2021-2022 წლების სტრატეგიის ფარგლებში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სტრატეგიული მიზნების, ამოცანების და მათი შესრულების მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის მერიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფი და სამუშაო ჯგუფის მიერ არჩეული კოორდინატორი, რომელიც ჯგუფისგან მიღებულ ინფორმაციას ამუშავებს და წარუდგენს სამუშაო ჯგუფს. **მონიტორინგის და შეფასების დეტალური მეთოდოლოგია** (*დანართი 1)*

## სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და მონიტორინგის ჩარჩო

სამოქმედო გეგმის მონიტორინგი მიზნად ისახავს სტრატეგიით და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების, ასევე მათ შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების პროცესზე დაკვირვებას. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი გულისხმობს სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესზე დაკვირვების სისტემური მექანიზმის შექმნას, რომლის მიზანი პროცესზე დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაციის და გამოცდილების ანალიზზე დაყრდნობით მომავალი გადაწყვეტილების თვისებრივი გაუმჯობესებაა.

წარმოდგენილი მონიტორინგის მექანიზმი ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებზე დაკვირვებას, როგორიცაა თუ როგორ მიმდინარეობს განხორციელების პროცესი, სრულდება თუ არა დაგეგმილი აქტივობები წინასწარგანსაზღვრულ ვადებში, რა არის ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორები, ა.შ. აღნიშნულ ფაქტორებზე დაკვირვება და შესაბამისი რეაგირება პროცესის წარმატებით წარმართვის წინაპირობაა.

შესაბამისად, მონიტორინგის მიზნით შემუშავდა ***მრავალკომპონენტიანი ჩარჩო-ინსტრუმენტი*** *(დანართი 2)*, როგორც ინფორმაციის შეგროვების მექანიზმი, რომელიც სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის შეგროვების და ანალიზის შესაძლებლობას იძლევა.

მონიტორინგის მეთოდოლოგია იძლევა შესაძლებლობას, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების პროგრესის შეფასებისას გათვალისწინებული იყოს თითოეული აქტივობის წონა. წონა აჩვენებს კონკრეტული ღონისძიების მნიშვნელობას სხვა აქტივობებთან შედარებით ამოცანების სრულად

შესრულებისთვის. ღონისძიებების მნიშვნელობის განსასაზღვრად გამოყენებულია სტატისტიკური შეწონვის მეთოდოლოგია, რომლის მეშვეობითაც, თითოეულ ღონისძიებას ენიჭება წონითი კოეფიციენტი, რომელიც გამოხატავს მის მნიშვნელობას ამოცანების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებებთან მიმართებაში. წონითი კოეფიციენტების მინიჭება ხდება პასუხისმგებელი მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ, სამოქმედო გეგმის შემუშავების შემდეგ, მონიტორინგის ჩარჩოს მომზადების ეტაპზე. ამასთან, მეთოდოლოგიის თანახმად, თითოეული ამოცანის შესასრულებლად წინასწარგანსაზღვრული ყველა ღონისძიებისთვის ხდება მაქსიმალური წონითი კოეფიციენტიდან საანგარიშო პერიოდისთვის მიღწეული კოეფიციენტის მინიჭება (მაგ: 10-იდან 7). კოეფიციენტის მინიჭების შემდეგ, მონიტორინგის ჩარჩო-ინსტრუმენტი ავტომატურად განსაზღვრავს თითოეული ღონისძიების რეიტინგს და შესაბამისად, მოცემული საანგარიშო პერიოდისთვის ამოცანის შესრულების დონეს, რომლის შესასრულებლადაც ხორციელდება შეფასებული აქტივობა.

საბოლოოდ, მონიტორინგს ჩარჩოს გამოყენებით, მიმდინარე საანგარიშო პერიოდისთვის ამოცანების და აქტივობების შესრულების შეფასება ხორციელდება ორი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით: 1) შესრულების რეიტინგი და 2) განხორციელების პროცესი.

მონიტორინგის ჩარჩოში აღწერილია გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და თითოეული ამოცანის შესასრულებლად წინასწარ განსაზღვრული ღონისძიებები, შესაბამისი მერიაში პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის და გეგმით გათვალისწინებული ვადების მითითებით. მონიტორინგის ჩარჩო-ინსტრუმენტის მიხედვით, ამოცანების და ღონისძიებების შესრულების შეფასება უნდა მოხდეს ყოველი მეექვსე (6) თვის ბოლოს (წელიწადში ორჯერ), პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის, სამუშაო ჯგუფის წევრი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის მიერ.

შესაბამისად, სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში მომზადდება 6 თვეში ერთხელ, რომელიც ეფუძნება მონიტორინგის ჩარჩოს გამოყენებით მიღებულ ინფორმაციას.

## სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის თვითშეფასება და თვითშეფასების მატრიცა

თვითშეფასების მეთოდოლოგია ეფუძნება მიდგომას, რომელიც ორიენტირებულია არა მხოლოდ შესრულების პროცესის აღწერაზე, არამედ OECD-ის მიერ შემუშავებულ შეფასების ხუთ (5) მიმართულებაზე და შესაბამისად განსაზღვრავს შეფასების შემდეგ კრიტერიუმებს, ესენია: შესაბამისობა (relevance), ეფექტიანობა (efficiency), ეფექტურობა (effectiveness), გავლენა (impact) და მდგრადობა (sustainability). ასევე, შეფასებისას განიხილავს სამოქმედო გეგმის ფარგლებში გაწერილი ამოცანების და

ღონისძიებების შესრულებას გენდერის შეფასების გათვალისწინებით. შესაბამისად, აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით განისაზღვრა შესაბამისი შეფასების ძირითადი კითხვები.

თვითშეფასების მიზნით შემუშავდა ***თვითშეფასების მატრიცა*** *(დანართი 3),* როგორც ინსტრუმენტი, რომელიც აერთიანებს თვითშეფასებისთვის საჭირო ყველა სახის ინფორმაციას (საბაზისო მონაცემები, ინდიკატორები, სამიზნე ნიშნულები და სხვა) და ასევე შეფასების კრიტერიუმებსა და ძირითად კითხვებს.

მერიის პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები წარადგენენ გეგმის შესრულების წერილობით ანგარიშს სამუშაო ჯგუფისთვის. სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი ატარებს შეხვედრებს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, ასევე აგროვებს ინფორმაციას ზემოთ განსაზღვრულ წყაროებზე დაფუძნებით.

ანგარიშის დასრულებული ვერსია ეგზავნება სამუშაო ჯგუფს კომენტარებისთვის. მიღებული კომენტარების გათვალისწინებით მზადდება თვითშეფასების ანგარიშის სამუშაო ვერსია, რომელიც განიხილება სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე. სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი ამზადებს თვითშეფასების საბოლოო ანგარიშს. თვითშეფასების ანგარიში მზადდება სამოქმედო გეგმის მანძილზე ორჯერ, წელიწადში ერთხელ. თვითშეფასების ანგარიში პროაქტიულად გამოქვეყნდება მერიის ვებ-გვერდზე, ხოლო მერია მოახდენს მისი ძირითადი მიგნებების პრეზენტაციას მოქალაქეების წინაშე.

აგვისტო 2020

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ განსახილველად. დოკუმენტი მომზადდა Tetra Tech-ის მხარდაჭერით.

დანართი 2

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა

# გორის მუნიციპალიტეტისმერიის

# გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის

# 2021-2022 წლების

# სამოქმედო გეგმა

PHOTO CREDIT TETRA TECH

აგვისტო 2020

წინამდებარედოკუმენტიშემუშავებულიაამერიკისშეერთებულიშტატების (აშშ) საერთაშორისოგანვითარებისსააგენტოს (USAID)

**გორის მუნიციპალიტეტის მერიის[1] სტრატეგიული ხედვაგამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლებისთვის:**

**გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლება**

| | |
|---|---|
| პოლიტიკის დაგეგვის, განხორციელების მონიტორინგის და შეფასების სისტემის დანერგვა | სტრატეგიული დაგეგმვის პრაქტიკის დანერგვა<br>გადაწყვეტილების მიღების „ქვემოდან ზემოთ" პრინციპის (BOTTOM-UP) დაცვის უზრუნველყოფა |
| 3.1 საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკის შესწავლა და არსებული ხარვეზების გამოვლენა. | | | | | | | | | ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური; სამუშაო ჯგუფი | | | | ინფორმაციის გაცემის პრაქტიკა შესწავლილია. | ანალიტიკური დოკუმენტი, მიგნებები და რეკომენდაციები |
| 3.2 კვლევის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე დაფუძნებით, ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების და/ან სამსახურების განსაზღვრა. | | | | | | | | | ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური | | | | ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირები და/ან სამსახურები განსაზღვრულია. | სამართლებრივი აქტი |

## 4 ამოცანა: მერიის დაქვემდებარებაში მყოფი იურიდიული პირების გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა

*მერია შეისწავლის მის დაქვემდებარებაში არსებული იურიდიული პირებში ინფორმაციის დამუშავებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პრაქტიკას და მიგნებებზე დაფუძნებით, შეიმუშავებს გამჭვირვალობის გაზრდის გეგმას. ამასთან, მერია დანერგავს ა(ა)იპ-ების ანგარიშგების სტანდარტიზებულ პრაქტიკას, რომელიც ითვალისწინებს საჯარო ანგარიშგების კომპონენტს. მერია უზრუნველყოფს ა(ა)იპ-ების შესახებ ინფორმაციის სრულად, დროულად და დამუშავებად ფორმატში გამოქვეყნებას.*

**პასუხისმგებელი უწყება:** გორის მუნიციპალიტეტის მერია

**შედეგის შეფასება:**

| ინდიკატორი | საბაზისო 2020 | სამიზნე ნიშნული | დადასტურების წყარო |
|---|---|---|---|
| მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპების შესახებ დამუშავებად ფორმატში საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციის % მაჩვენებელი გაზრდილია | არ არის ხელმისაწვდომი | მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპების მიერ დამუშავებად ფორმატში გამოქვეყნებული ინფორმაციის 40%-ით გაზრდილია | მერიის წლიური ანგარიში თვითშეფასების ანგარიში/თვითშეფასების მატრიცა |

**რისკი:** ადმინისტრაციული რესურსის ნაკლებობა (ფინანსური და ადამიანური რესურსის ნაკლებობა)

| აქტივობა | შესრულების ვადა (წელი, კვ) | | | | | | | | პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული | ბიუჯეტი | დაფინანსების წყარო | | ინდიკატორი | დადასტურების წყარო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2021 | | | | 2022 | | | | | | მუნიციპალური ბიუჯეტი | სხვა | | |
| | I | II | III | IV | I | II | III | IV | | | | | | |
| 4.1 მერიის დაქვემდებარებაში არსებულიიურიდიულ პირებში ინფორმაციის დამუშავების და გამოქვეყნების არსებული პრაქტიკის შესწავლა. | | | | | | | | | ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური | | | | ინფორმაციის დამუშავების და გამოქვეყნების პრაქტიკა შესწავლილია | ანალიტიკური დოკუმენტი, მიგნებები და რეკომენდაციები |
| 4.2 კვლევის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე დაფუძნებით, მერიის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპების ინფორმაციის დამუშავების და გამოქვეყნებისწესის შემუშავება და დამტკიცება. | | | | | | | | | ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური | | | | წესი დამტკიცებულია. | სამართლებრივი აქტი |
| 4.3 კვლევის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე დაფუძნებით, მერიის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპების ანგარიშგების წესის შემუშავება და დამტკიცება. | | | | | | | | | ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური | | | | წესი დამტკიცებულია. | სამართლებრივი აქტი |
| 4.4 ა(ა)იპებში ინფორმაციის დამუშავების და გამოქვეყნების წესის თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება და უნარების გაძლიერება. | | | | | | | | | ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება | | | | ჩატარებულია მინიმუმ 10 ტრენინგი | ტრენინგის დღის წესრიგი, დასწრების ფურცელი |
| 4.5 მონაცემების ღია ფორმატში პროაქტიულად გამოქვეყნება | | | | | | | | | ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური | | | | მონაცემები გამოქვეყნებულია ღია ფორმატში | მერიის ვებ-გვერდი |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | მერიის ვებ-გვერდზე. | |

# 5. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობა

## 1 ამოცანა: არსებული მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების ეფექტიანობის შესწავლა და მათი გაუმჯობესების ხელშეწყობა

*მუნიციპალიტეტის მერია შეისწავლის მოქალაქეთა მონაწილეობის თითოეული მექანიზმის ეფექტიანობას, როგორც კანონით გათვალისწინებული ნორმების, ასევე, პრაქტიკული ფაქტორების გათვალისწინებით. გამოვლენილი ხარვეზების საფუძველზე, მუნიციპალიტეტი განახორციელებს ცვლილებებს კანონმდებლობაში და გადადგამს პრაქტიკულ ნაბიჯებს მათ გასაუმჯობესებლად.*

**პასუხისმგებელი უწყება:** გორის მუნიციპალიტეტის მერია

**შედეგის შეფასება:**

| ინდიკატორი | საბაზისო 2020 | სამიზნე ნიშნული | დადასტურების წყარო |
|---|---|---|---|
| მუნიციპალიტეტის მიერ განმხორციელებელი კვლევის საფუძველზე იდენტიფიცირებული ხარვეზების % მაჩვენებელი გათვალისწინებული | არ არის ხელმისაწვდომი | მუნიციპალიტეტის მიერ განმხორციელებელი კვლევის საფუძველზე იდენტიფიცირებული ხარვეზების 50% გათვალისწინებულია | მერიის წლიური ანგარიში თვითშეფასების ანგარიში/თვითშეფასების მატრიცა |

**რისკი:** ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა

| აქტივობა | შესრულების ვადა (წელი, კვ) | | | | | | | | პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული | ბიუჯეტი | დაფინანსების წყარო | | ინდიკატორი | დადასტურების წყარო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2021 | | | | 2022 | | | | | | მუნიციპალური ბიუჯეტი | სხვა | | |
| | I | II | III | IV | I | II | III | IV | | | | | | |
| 1.1 არსებული მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების (პეტიცია, მრჩეველთა საბჭო, ანგარიშების წარდგენა, საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა, დასახლების საერთო კრება, სამოქალაქო ბიუჯეტირება) ეფექტიანობის შესწავლა, როგორც კანონით გათვალისწინებული ნორმების, ასევე, პრაქტიკული ფაქტორების გათვალისწინებით. | | | | | | | | | ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური | | | | მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმები და მათი ეფექტიანობა შესწავლილია. | ანალიტიკური დოკუმენტი, მიგნებები და რეკომენდაციები. |
| 1.2 კვლევის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე დაფუძნებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება. | | | | | | | | | ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური, იურიდიული განყოფილება | | | | ცვლილებების პირველადი ვერსია შემუშავებულია | სამართლებრივი აქტის პროექტი |
| 1.3 აღნიშნული ცვლილებების პაკეტის დაინტერესებული მხარეებისთვის წარდგენა და განხილვა. | | | | | | | | | ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური, იურიდიული განყოფილება, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება | | | | ჩატარებულია მინიმუმ 2 განხილვა (მერია და სამოქალაქო საზოგადოება) | განხილვის ოქმი, დასწრების ფურცელი |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.4 სამუშაო შეხვედრების შედეგად მიღებული უკუკავშირის ასახვა. | | | | | | | | | ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური, იურიდიული განყოფილება | | | | უკუკავშირი ასახულია ცვლილებების დოკუმენტში. | განახლებული სამართლებრივი აქტის პროექტი |
| 1.5 შემუშავებული ცვლილებების დამტკიცება. | | | | | | | | | ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური, იურიდიული განყოფილება | | | | ცვლილებები დამტკიცებულია. | სამართლებრივი აქტი |
| 1.6 ცნობიერების ამაღლების კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება | | | | | | | | | ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება | | | | 1)ინფორმაცია მონაწილეობის მექანიზმებზე გამოქვეყნებულია სოციალურ ქსელში და მერიის ვებ-გვერდზე; 2)ჩატარებულია მინიმუმ 5 შეხვედრა მოქალაქეებთან; 3)მოქალაქეთა ინფორმირებაგანხორციელდა ქალაქში განთავსებული მონიტორებისა და მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით; 4) გასულია მინიმუმ 2 გადაცემა ტელევიზიაში. | მერიის ვებ-გვერდი, სოციალური ქსელები, შეხვედრის დასწრების ფურცელი, მერიის წლიური ანგარიში |

## 2 ამოცანა: მოქალაქეთა ინფორმირების და უნარების გაძლიერების ხელშეწყობა მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების მნიშვნელობასა და მათი გამოყენების გზებზე

*მუნიციპალიტეტის მერია გაატარებს ზომებს მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა თვითმმართველობის კომპეტენციები და უფლებამოსილებები, თვითმმართველობაში მონაწილეობის მიმართულებით მოქალაქის უფლებები, არსებული მონაწილეობითი მექანიზმების მნიშვნელობა და მათი გამოყენების გზები. ამასთან, არსებული ჩართულობის მექანიზმების გამოყენების პრაქტიკის დანერგვის მიზნით, მერია ითანამშრომლებს სამოქალაქო საზოგადოებასთან და სხვა საჯარო უწყებებთან მოქალაქეების ცნობიერების ამაღლებისა და უნარების გასაძლიერებლად, რათა მათ აქტიურად გამოიყენონ მონაწილეობითი მექანიზმები. დამატებით, მუნიციპალიტეტის მერია დაგეგმილი სხდომების, პრეზენტაციებისა და შეხვედრების თაობაზე მოქალაქეთა პროაქტიულად ინფორმირების არსებული პრაქტიკას გააუმჯობესებს.*

### **პასუხისმგებელი უწყება:** გორის მუნიციპალიტეტის მერია

### შედეგის შეფასება:

| ინდიკატორი | საბაზისო 2020 | სამიზნე ნიშნული | დადასტურების წყარო |
|---|---|---|---|
| ტრენინგის მონაწილეთა % მაჩვენებელი, რომელიც მიიჩნევს რომ მათი ცოდნა ჩართულობის მექანიზმების შესახებ გაზრდილია. | არ არის ხელმისაწვდომი | ტრენინგის მონაწილეთა 50% მიიჩნევს, რომ მათი ცოდნა ჩართულობის მექანიზმების შესახებ გაზრდილია. | პრე და პოსტ ტესტები<br>მერიის წლიური ანგარიში<br>თვითშეფასების ანგარიში/ თვითშეფასების მატრიცა |
| მოქალაქეთა მიერ ჩართულობის მექანიზმების გამოყენების % მაჩვენებელი გაზრდილია | პეტიცია - 0<br>სხვა ზუსტი მონაცემი ხელმისაწვდომი არ არის | მოქალაქეთა მიერ ჩართულობის მექანიზმების გამოყენების 10%-ით გაზრდილია<br>- შემოსულია მინიმუმ 1 პეტიცია წლის მანძილზე;<br>- საკრებულოს სხდომებზე და საკრებულოსა და მერიის ანგარიშების წარდგენაზე დასწრების მაჩვენელი გაზრდილია 10%-ით. | მერიის წლიური ანგარიში<br>თვითშეფასების ანგარიში/ თვითშეფასების მატრიცა |

### **რისკი:** ფინანსური რესურსის ნაკლებობა; მოქალაქეთა მხრიდან ინტერესის ნაკლებობა

| აქტივობა | შესრულების ვადა (წელი, კვ) | | | | | | | | პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული | ბიუჯეტი | დაფინანსების წყარო | | ინდიკატორი | დადასტურების წყარო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2021 | | | | 2022 | | | | | | მუნიციპალური ბიუჯეტი | სხვა | | |
| | I | II | III | IV | I | II | III | IV | | | | | | |
| 2.1 მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება და უნარების გაძლიერება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: თვითმმართველობის კომპეტენციები და უფლებამოსილებები, თვითმმართველობაში მონაწილეობის მიმართულებით მოქალაქის უფლებები, არსებული მონაწილეობითი მექანიზმების მნიშვნელობა და მათი გამოყენების გზები. | | | | | | | | | ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება; მერის წარმომადგენლები<br>*დამხმარე:* სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები | | | | ჩატარებულია მინიმუმ 50 ტრენინგი, როგორც ქალაქში, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულებში.<br><br>ჩატარებულია მინიმუმ 50 შეხვედრა სოფლებში მოქალაქეებთან. | ტრენინგის დღის წესრიგი, დასწრების ფურცელი, შეხვედრის დღის წესრიგი |

## 3 ამოცანა: მოქალაქეთა წინადადებებზე ეფექტიანი და სტანდარტიზებული უკუკავშირის მექანიზმის დანერგვა

*მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმებისადმი ნდობის გაზრდის მიზნით, მერია დანერგავს უკუკავშირის მექანიზმს და აიღებს ფორმალურ ვალდებულებას, უპასუხოს მოქალაქეთა მიერ მოწოდებულ რეკომენდაციებსა და ინიციატივებს და განმარტოს წერილობით, ზეპირად ან ელექტრონული ფორმით თუ რატომ გაითვალისწინა ან ვერ გაითვალისწინა აღნიშნული წინადადებები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უკუკავშირის მექანიზმის დანერგვა მრჩეველთა საბჭოში, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მის ფუნქციონირებას.*

**პასუხისმგებელი უწყება:** გორის მუნიციპალიტეტის მერია

**შედეგის შეფასება:**

| ინდიკატორი | საბაზისო 2020 | სამიზნე ნიშნული | დადასტურების წყარო |
|---|---|---|---|
| მოქალაქეების მიერ მერიისთვის წარდგენილი წინადადებების % მაჩვენებელი, რომელზეც მერიამ მიაწოდა უკუკავშირი ზეპირად, წერილობით ან ელექტრონული ფორმით, გაზრდილია | არ არის ხელმისაწვდომი | მოქალაქეების მიერ მერიისთვის წარდგენილ წინადადებების 80%-ზე მერიის მიერ უკუკავშირი მიწოდებულია | მერიის წლიური ანგარიში თვითშეფასების ანგარიში/ თვითშეფასების მატრიცა |

**რისკი:** ადამიანური რესურსის ნაკლებობა

| აქტივობა | შესრულების ვადა (წელი, კვ) | | | | | | | | პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული | ბიუჯეტი | დაფინანსების წყარო | | ინდიკატორი | დადასტურების წყარო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2021 | | | | 2022 | | | | | | მუნიციპალური ბიუჯეტი | სხვა | | |
| | I | II | III | IV | I | II | III | IV | | | | | | |
| 3.1 სავალდებულო უკუკავშირის წესის შემუშავება, რომელიც მოქალაქეთა წინადადებებსა და რეკომენდაციებზე მერიის მხრიდან გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტიზებას მოახდენს. | | | | | | | | | ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური, იურიდიული განყოფილება | | | | წესის პირველადი ვერსია შემუშავებულია. | სამართლებრივი აქტის პროექტი |
| 3.2 მომზადებული წესის პირველადი ვერსიის წარდგენა მერიის თანამშრომელთათვის და სამოქალაქო საზოგადოებისთვის და მათგან უკუკავშირის მიღება. | | | | | | | | | ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური, იურიდიული განყოფილება, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება | | | | ჩატარებულია მინიმუმ 2 შეხვედრა (მერია და სამოქალაქო საზოგადოება) | განხილვის ოქმი, დასწრების ფურცელი |
| 3.3. მიღებული უკუკავშირის ასახვა. | | | | | | | | | ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური, იურიდიული განყოფილება | | | | უკუკავშირი ასახულია წესის პირველად ვერსიაში. | განახლებული სამართლებრივი აქტის პროექტი |
| 3.4 წესის დამტკიცება შიდა რეგულაციის სახით. | | | | | | | | | ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური, იურიდიული განყოფილება | | | | წესი დამტკიცებულია. | სამართლებრივი აქტი. |
| 3.5 გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელთა, მათ შორის მერის წარმომადგენლების, | | | | | | | | | ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური, იურიდიული განყოფილება, | | | | ჩატარებულია მინიმუმ 5 ტრენინგი მერიის | ტრენინგის დღის წესრიგი, დასწრების ფურცელი |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გადამზადება სავალდებულო უკუკავშირის წესის განხორციელებასთან დაკავშირებით. | | | | | | | | | ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება | | | | თანამშრომელ თათვის. | |

## 4 ამოცანა: ელექტრონული მმართველობის და ინოვაციური მეთოდების დანერგვა მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით

*მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების ხელმისაწვდომობისა და გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერია დანერგავს ელექტრონულ მმართველობასა და ინოვაციურ მეთოდებს, როგორიცაა სხდომებისა და პრეზენტაციების პირდაპირი ტრანსლაცია, ვებგვერდზე ინტეგრირებული მოქალაქეთა მოსაზრებების მიღების ახალი მოდულები, მოქალაქეთა პერსონალური ინფორმირების მეთოდები და სხვა.*

**პასუხისმგებელი უწყება:** გორის მუნიციპალიტეტის მერია

**შედეგის შეფასება:**

| ინდიკატორი | საბაზისო 2020 | სამიზნე ნიშნული | დადასტურების წყარო |
|---|---|---|---|
| | | | |
| მოქალაქეთა მიერ ელექტრონული ჩართულობის მექანიზმების გამოყენების % მაჩვენებელი | ხელმისაწვდომი არ არის | მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მინიმუმ 10% იყენებს მოქალაქეთა ელექტრონული ჩართულობის მექანიზმებს | მერიის წლიური ანგარიში თვითშეფასების ანგარიში/ თვითშეფასების მატრიცა |

**რისკი:**ფინანსური რესურსის ნაკლებობა

| აქტივობა | შესრულების ვადა (წელი, კვ) 2021 | | | | 2022 | | | | პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული | ბიუჯეტი | დაფინანსების წყარო | | ინდიკატორი | დადასტურების წყარო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I | II | III | IV | I | II | III | IV | | | მუნიციპალური ბიუჯეტი | სხვა | | |
| 4.1 ელექტრონული მმართველობის ხელშეწყობის მიზნით საკრებულოს და მერიის სხდომების პირდაპირი ტრანსლაციის სხვა მუნიციპალიტეტების პრაქტიკის შესწავლა და შესაბამისი კონცეფციის შემუშავება და დამტკიცება. | | | | | | | | | ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური | | | | კონცეფცია შემუშავებულია და დამტკიცებულია. | კონცეფციის დოკუმენტი |
| 4.2 ელექტრონული მმართველობის ხელშეწყობის მიზნით საკრებულოს და მერიის სხდომების პირდაპირი ტრანსლაციის პრაქტიკის დანერგვა. | | | | | | | | | ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური | | | | პირდაპირი ტრანსლაციის პრაქტიკა დანერგილია. | საკრებულოს და მერიის ვებ-გვერდები, სოციალური ქსელები |
| 4.3 პირდაპირი ტრანსლაციის პოპულარიზაციის მიზნით საინფორმაციო კამპანია. | | | | | | | | | ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება | | | | 1)ინფორმაცია გამოქვეყნებულია სოციალურ ქსელში და მერიის ვებ-გვერდზე;<br>2) ჩატარებულია მინიმუმ 2 საჯარო პრეზენტაცია;<br>3)მოქალაქეთა ინფორმირება ხორციელდება ქალაქში განთავსებული მონიტორებისა და მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით; 4) | მერიის ვებ-გვერდი, სოციალური ქსელები, შეხვედრის დასწრების ფურცელი, მერიის წლიური ანგარიში |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | გასულია მინიმუმ 2 გადაცემა ტელევიზიაში | |
| 4.4 პერსონალური ინფორმირების სერვისების დანერგვის მიზნით, მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვისის კონცეფციის შემუშავება და დამტკიცება. | | | | | | | | | ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური | | | | კონცეფცია შემუშავებული და დამტკიცებულია. | კონცეფციის დოკუმენტი |
| 4.5 ვებ-გვერდზე მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვისის გამოწერის მოდულის დამატება. | | | | | | | | | ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური | | | | მოდული დამატებულია ვებ-გვერდზე. | მერიის ვებ-გვერდი |
| 4.6 მერის ანგარიშის პრეზენტაციებისა და სხვა მიმართვების სოციალურ ქსელებში პირდაპირ რეჟიმში გაშუქება | | | | | | | | | ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება | | | | მერის ყველა საჯარო პრეზენტაცია და სხვა მიმართვები გადმოცემულია სოციალურ ქსელებში პირდაპირ რეჟიმში. | მერიის სოციალური ქსელის გვერდი |

## 5 ამოცანა: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვის, განხორციელებისა და ზედამხედველობის პროცესში მოქალაქეთა ინფორმირებისა და მონაწილეობის ხელშეწყობა

*მუნიციპალიტეტის მერია ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ინფორმირებას საბიუჯეტო პროცესების, მათ შორის, გამარტივებული ბიუჯეტის პროექტის - მოქალაქის გზამკვლევის პროაქტიულად გამოქვეყნებით(როგორც ბეჭდურად, ასევე ელექტრონული საშუალებებით). ამასთან, მერია ხელს შეუწყობს საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერებას.*

**პასუხისმგებელი უწყება:** გორის მუნიციპალიტეტის მერია

**შედეგის შეფასება:**

| ინდიკატორი | საბაზისო 2020 | სამიზნე ნიშნული | დადასტურების წყარო |
|---|---|---|---|
| მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა % მაჩვენებელი, რომელიც მონაწილეობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვის, განხორციელების და ზედამხედველობის პროცესში მონაწილეობს, გაზრდილია | არ არის ხელმისაწვდომი | მუნიციპალიტეტის მოქალაქეთარაოდენობა, რომელიც მონაწილეობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვის, განხორციელების და ზედამხედველობის პროცესში 10%-ით გაზრდილია | მერიის წლიური ანგარიში(*განხილვებში მონაწილეთა დასწრების ფურცელი, მიღებული წინადადებები სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამაზე, თანადაფინანსების პროგრამაზე), საბიუჯეტო განხილვებში მონაწილეთა რაოდენობა და სხვ.)* თვითშეფასების ანგარიში/ თვითშეფასების მატრიცა |

**რისკი:**მოქალაქეთა მხრიდან ინტერესის ნაკლებობა

| აქტივობა | შესრულების ვადა (წელი, კვ) | | | | | | | | პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული | ბიუჯეტი | დაფინანსების წყარო | | ინდიკატორი | დადასტურების წყარო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2021 | | | | 2022 | | | | | | მუნიციპალური ბიუჯეტი | სხვა | | |
| | I | II | III | IV | I | II | III | IV | | | | | | |
| 5.1 ბიუჯეტის დაგეგმვის, განხორციელებისა და ზედამხედველობის არსებული მექანიზმების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება. | | | | | | | | | საფინანსო საბიუჯეტო სამსახური; ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება, მერის წარმომადგენლები | | | | 1)ჩატარებულია მინიმუმ 50 საჯარო შეხვედრა, როგორც ქალაქში, ასევე, ადმინისტრაციულ ერთეულებში; 2)ინფორმაცია განთავსებულია მერიის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელებში; 3) გასულია მინიმუმ 2 გადაცემა მედიაში; 4) დაგეგმილ საბიუჯეტო განხილვებზე ინფორმაცია პროაქტიულად მიეწოდებათ მოქალაქეებს მოკლე ტექსტური შეტყობინებისა და ქალაქში დამონტაჟებული მონიტორების მეშვეობით. | მერიის ვებ-გვერდი, სოციალური ქსელები, შეხვედრის დასწრების ფურცელი, მერიის წლიური ანგარიში |
| 5.2 გამარტივებული ბიუჯეტის პროექტის - მოქალაქის გზამკვლევის პროაქტიულად გამოქვეყნება ვებ-გვერდზე, სოციალურ ქსელებსა და სხვა | | | | | | | | | საფინანსო საბიუჯეტო სამსახური; ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება | | | | გზამკვლევი გამოქვეყნებულია მერიის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელებში. | მერიის ვებ-გვერდი, სოციალური ქსელები |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მედია საშუალებებში. | | | | | | | | | | | | | | |
| 5.3 საბიუჯეტო განხილვების და ბიუჯეტის განხორციელებასთან დაკავშირებული სხდომების ონლაინ ტრანსლაცია | | | | | | | | | საფინანსო საბიუჯეტო სამსახური; ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება | | | | საბიუჯეტო განხილვები და ბიუჯეტის განხორციელებასთან დაკავშირებული სხდომები შუქდება მერიის სოციალურ ქსელებსა და ვებ-გვერდზე (აღნიშნული მოდულის ჩაშვების შემდგომ. იხ. აქტივობა 4.1-4.2). | მერიის სოციალურ ი ქსელი, მერიის ვებ-გვერდი, მერიის წლიური ანგარიში |
| 5.4 მერიის ვებ-გვერდზე ბიუჯეტის პრიორიტეტების მოდულის დამატება | | | | | | | | | საფინანსო საბიუჯეტო სამსახური; ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება | | | | მოდული დამატებულია მერიის ვებ-გვერდზე. | მერიის ვებ-გვერდი |

აგვისტო 2020

წინამდებარედოკუმენტიშემუშავებულიაამერიკისშეერთებულიშტატების (აშშ) საერთაშორისოგანვითარებისსააგენტოს (USAID) მიერგანსახილველად.
დოკუმენტიმომზადდაTetra Tech-ისმხარდაჭერით.

დანართი 3

დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა

# მონიტორინგის და თვითშეფასების მეთოდოლოგია

## გორის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია

2021-2023

☒

PHOTO CREDIT TETRA TECH

აგვისტო 2020

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ განსახილველად. დოკუმენტი მომზადდა Tetra Tech-ის მხარდაჭერით.

გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების 2021-2023 წლების სტრატეგიის ფარგლებში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია სტრატეგიული მიზნების, ამოცანების და მათი შესრულების მონიტორინგი და შეფასება. შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, მონიტორინგის ანგარიში მომზადება 6 თვეში ერთხელ, ხოლო თვითშეფასების ანგარიში მომზადდება წელიწადში ერთხელ, რომელიც გამოქვეყნდება ვებ-გვერდზე და ძირითადი მიგნებების განხილვა მოხდება საჯაროდ. გორის მუნიციპალიტეტის მერიას სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში მხარდაჭერას USAID-ის პროექტი „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში" და მისი ექსპერტები უწევდნენ. სტრატეგიის შემუშავების პროცესში მერიამ უზრუნველყო სამოქალაქო საზოგადების და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობა.

## შესავალი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2021-2023 წლის გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიას, სამოქმედო გეგმასა და მონიტორინგის მეთოდოლოგიას ამტკიცებს გორის მუნიციპალიტეტის მერია. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა განხორციელების პროცესში ექვემდებარება პერიოდულ გადახედვას და შესაბამისად, საჭიროებისამებრ განახლებას.

## სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი

სამოქმედო გეგმის მონიტორინგი მიზნად ისახავს სტრატეგიით და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების, ასევე მათ შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების პროცესზე დაკვირვებას.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგი გულისხმობს სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესზე დაკვირვების სისტემური მექანიზმის შექმნას, რომლის მიზანი პროცესზე დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაციის და გამოცდილების ანალიზზე დაყრდნობით მომავალი გადაწყვეტილების თვისებრივი გაუმჯობესებაა. მონიტორინგის დროს ხორციელდება დაგეგმილისა და მიმდინარე პროგრესის შედარება, ხოლო მიღებული ინფორმაცია გამოიყენება სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის თვითშეფასების განსახორციელებლად. მონიტორინგის დროს ინფორმაციის მოგროვება იწყება დაგეგმვის ეტაპიდანვე და განხორციელების პროცესში სისტემატიური მონიტორინგით ხდება ინფორმაციის მოგროვება შემდეგი მიზნებისთვის:

- მოპოვებული ინფორმაციისა და შეძენილი გამოცდილების ანალიზის საფუძველზე მიმდინარე და მომავალი პრაქტიკის გაუმჯობესება;
- ანგარიშვალდებულების შიდა და გარე მექანიზმების არსებობა;
- ცოდნაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება მომავალი აქტივობების უკეთ განხორციელებისთვის;
- პროცესის მონაწილე მხარეების ჩართულობის წახალისება.

შესაბამისად, სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი საშუალებას იძლევა განხორციელების ეტაპზევე მოხდეს ზემოაღნიშნული ინფორმაციის სისტემური მოგროვება, ხელისშემშლელი თუ დამაბრკოლებელი ფაქტორების იდენტიფიცირება, გაანალიზება და შესაბამისი რეაგირება, რაც უზრუნველყოფს ყოველი შემდგომი ეტაპის გაუმჯობესებას და როგორც გეგმით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისა და აქტივობების, ასევე საერთო პროცესის დროულ და ეფექტურ განხორციელებას.

წარმოდგენილი მონიტორინგის მექანიზმი ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებზე დაკვირვებას, როგორიცაა თუ როგორ მიმდინარეობს განხორციელების პროცესი, სრულდება თუ არა დაგეგმილი აქტივობები წინასწარგანსაზღვრულ ვადებში, რა არის ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორები, ა.შ. აღნიშნულ ფაქტორებზე დაკვირვება და შესაბამისი რეაგირება პროცესის წარმატებით წარმართვის წინაპირობაა.

## *2.1 მონიტორინგი და მონიტორინგის ჩარჩო*

მონიტორინგის მიზნით შემუშავდა ***მრავალკომპონენტიანი ჩარჩო-ინსტრუმენტი*** *(დანართი 2)*, როგორც ინფორმაციის შეგროვების მექანიზმი, რომელიც სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის შეგროვების და ანალიზის შესაძლებლობას იძლევა.

### ღონისძიებების წონის განსაზღვრა

მონიტორინგის მეთოდოლოგია იძლევა შესაძლებლობას, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების პროგრესის შეფასებისას გათვალისწინებული იყოს თითოეული აქტივობის წონა. წონა აჩვენებს კონკრეტული ღონისძიების მნიშვნელობას სხვა აქტივობებთან შედარებით ამოცანების სრულად შესრულებისთვის.

ღონისძიებების მნიშვნელობის განსასაზღვრად გამოყენებულია სტატისტიკური შეწონვის მეთოდოლოგია, რომლის მეშვეობითაც, თითოეულ ღონისძიებას ენიჭება წონითი კოეფიციენტი, რომელიც გამოხატავს მის მნიშვნელობას, ამოცანების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებებთან მიმართებაში. წონითი კოეფიციენტების მინიჭება ხდება პასუხისმგებელი უწყების მიერ, სამოქმედო გეგმის შემუშავების შემდეგ, მონიტორინგის ჩარჩოს მომზადების ეტაპზე.

მეთოდოლოგიის თანახმად, ღონისძიების შესასრულებლად წინასწარგანსაზღვრული ყველა ღონისძიებისთვის ხდება მაქსიმალური წონითი კოეფიციენტიდან საანგარიშო პერიოდისთვის მიღწეული კოეფიციენტის მინიჭება (მაგ: 10-დან 7). კოეფიციენტის მინიჭების შემდეგ, მონიტორინგის ჩარჩო-ინსტრუმენტი ავტომატურად განსაზღვრავს თითოეული ღონისძიების რეიტინგს და შესაბამისად, მოცემული საანგარიშო პერიოდისთვის იმ ამოცანების შესრულების დონეს, რომლის შესასრულებლად ხორციელდება შეფასებული ღონისძიება.

### შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრება

მონიტორინგის ჩარჩო-ინსტრუმენტი იძლევა საშუალებას, მიმდინარე საანგარიშო პერიოდისთვის ვალდებულებებისა და ღონისძიების შეფასება განხორციელდეს ორი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით:1) ***შესრულების რეიტინგი*** და 2) ***განხორციელების სტატუსი.***

ქვემოთ მოცემულია დეტალური განსაზღვრების ცხრილი თითოეული კრიტერიუმებისთვის:

| შეფასების რეიტინგი | |
|---|---|
| **შესრულდა** | ამოცანის შესასრულებლად დაგეგმილი ღონისძიებების 92% და მეტი სრულად შესრულდა. |
| **უმეტესი ნაწილი შესრულდა** | ამოცანის შესასრულებლად დაგეგმილი ღონისძიებების ნახევარზე მეტი, 65% და მეტი სრულად შესრულდა და მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩა შესასრულებელი. |
| **ნაწილობრივ შესრულდა** | ამოცანის შესასრულებლად დაგეგმილი ღონისძიებების ნაწილი, 37% და მეტი სრულად შესრულდა და უმეტესი ნაწილი დარჩა შესასრულებელი. |
| **მცირე ნაწილი შესრულდა** | ამოცანის შესასრულებლად დაგეგმილი ღონისძიებების ნახევარზე ნაკლები, 9% და მეტი სრულად შესრულდა და უმეტესი ნაწილი დარჩა შესასრულებელი. |
| **არ შესრულდა** | ამოცანის შესასრულებლად დაგეგმილი ღონისძიებების 8% და ნაკლები არ შესრულდა. |
| **სტატუსი (შეფასება განხორციელების პროცესის სტატუსის შესახებ)** | |
| **განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა** | ამოცანის შესასრულებლად დაგეგმილი ღონისძიებების შესრულება ჯერ არ დაწყებულა |
| **განხორციელების პროცესი მიმდინარეობს** | ამოცანის შესასრულებლად დაგეგმილი ღონისძიებების შესრულება დაიწყო, მიმდინარეობს და ჯერ არ დასრულებულა |
| **განხორციელების პროცესი შეჩერებულია** | ამოცანის შესასრულებლად დაგეგმილი ღონისძიებების შესრულება დაიწყო, თუმცა განხორციელების პროცესი შეჩერდა |
| **განხორციელების პროცესი დასრულებულია** | ამოცანის შესასრულებლად დაგეგმილი ღონისძიებების შესრულება დასრულდა. |

როგორც ღონისძიების, ასევე ამოცანის რეიტინგის და სტატუსის შეფასებაც, მონიტორინგის თითოეულ საანგარიშო პერიოდში ხორციელდება.

## *2.2 მონიტორინგის პროცესი*

მონიტორინგის მრავალკომპონენტიან ჩარჩო-ინსტრუმენტში[1] აღწერილია გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და თითოეული ამოცანის შესასრულებლად წინასწარ განსაზღვრული ღონისძიებები, შესაბამისი პასუხისმგებელი უწყების და გეგმით გათვალისწინებული ვადების მითითებით. მონიტორინგის ჩარჩო-ინსტრუმენტის მიხედვით, ამოცანების და ღონისძიებების შესრულების შეფასება უნდა მოხდეს ყოველი მეექვსე (6) თვის ბოლოს (წელიწადში ორჯერ), პასუხისმგებელი უწყების, სამუშაო ჯგუფის წევრი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის მიერ.

[1] შემდგომში მონიტორინგის ჩარჩო

შესაბამისად მონიტორინგის მექანიზმით განსაზღვრულია შემდეგი სისტემური პროცესი:

1) მონიტორინგისთვის წინასწარგანსაზღვრული პერიოდისთვის, სამუშაო ჯგუფის მონიტორინგის და შეფასების ნაწილზე გამოყოფილი პირი, მერიის პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს აცნობებს მონიტორინგის პროცესის დაწყების შესახებ და უგზავნის მონიტორინგის ჩარჩოს შემდგომი რეაგირებისთვის.

2) მონიტორინგის ჩარჩოს მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, მერიის პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული აფასებს მისი პასუხისმგებლობის ფარგლებში შესასრულებელი ღონისძიებების პროგრესს, რაც გულისხმობს წინასწარგანსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით შესაბამის ველში პროგრესის ქულის მინიჭებას *(იხ. 2.2 მონიტორინგის შეფასების კრიტერიუმები)*. ასევე, პასუხისმგებელ უწყება წერილობითი ფორმით შესაბამის ველში აღწერს ინფორმაციას აქტივობის შესრულების მიმდინარეობისა და პროცესში გამოვლენილი ძირითადი გამოწვევების შესახებ და შევსებულ დოკუმენტს უბრუნებს სამუშაო ჯგუფის წარმომადგენელს.

3) პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის მიერ შევსებული ჩარჩოს მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში სამუშაო ჯგუფის წარმომადგენელი აერთიანებს უწყებებიდან მიღებულ ინფორმაციას მონიტორინგის ჩარჩოს დოკუმენტში და უგზავნის სამუშაო ჯგუფის წევრი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შემდგომი რეაგირებისთვის.

4) შემდეგ ეტაპზე, გაერთიანებული მონიტორინგის ჩარჩოს მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, სამუშაო ჯგუფის წევრი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები აფასებენ თითოეული ეტაპის შესრულების პროცესს წინასწარგანსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, რაც გულისხმობს შესაბამისი რეიტინგის ველში პროგრესის ქულის მინიჭებას *(იხ. 2.2. მონიტორინგის შეფასების კრიტერიუმები)*. ასევე, სამუშაო ჯგუფის წევრი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები წერილობითი ფორმით შესაბამის ველში ასახავენ ინფორმაციას შესრულების პროგრესის, პროცესში მიმდინარე ძირითადი გამოწვევებისა და პროგრესის შეფასების ძირითადი არგუმენტების შესახებ და უბრუნებენ სამუშაო ჯგუფის წარმომადგენელს.

5) სამუშაო ჯგუფის წარმომადგენელი აერთიანებს სამუშაო ჯგუფის წევრი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაციას საბოლოო მონიტორინგის ჩარჩო-ინსტრუმენტში და აანალიზებს როგორც პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, ასევე სამუშაო ჯგუფის წევრი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების შეფასებას. არსებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე, სამუშაო ჯგუფის წარმომადგენელი აფასებს თითოეული ეტაპის

პროგრესს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, რაც გულისხმობს შესაბამისი საბოლოო რეიტინგის და სტატუსის განსაზღვრას. ასევე, შესაბამის ველში აჯამებს ინფორმაციას პროცესისა და ძირითადი გამოწვევების შესახებ, და მომზადებულ მონიტორინგის ჩარჩო-ინსტრუმენტის საბოლოო ვერსიას და ანგარიშს 10 სამუშაო დღის ვადაში.

6) სამუშაო ჯგუფის წარმომადგენელი დასრულებული მონიტორინგის ჩარჩოსა და ანგარიშს წარუდგენს გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შექმნილ სამუშაო ჯგუფს, რომელიც განიხილავს მონიტორინგის შედეგებს, განხორციელების პროცესს, ძირითად გამოწვევებსა და მიღწეულ მყისიერი შედეგებს.

*შენიშვნა: პროცესის სრული ციკლი არ აღემატება 35 სამუშაო დღეს.*

## 2.3 სიხშირე და მომზადების ვადები

### მონიტორინგის ანგარიშის მომზადების ვადები

მონიტორინგის ჩარჩოში აღწერილია გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და თითოეული ამოცანის შესასრულებლად წინასწარ განსაზღვრული ღონისძიებები, შესაბამისი მერიაში პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის და გეგმით გათვალისწინებული ვადების მითითებით. მონიტორინგის ჩარჩო-ინსტრუმენტის მიხედვით, ამოცანების და ღონისძიებების შესრულების შეფასება უნდა მოხდეს ყოველი მეექვსე (6) თვის ბოლოს (წელიწადში ორჯერ), პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის, სამუშაო ჯგუფის წევრი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის მიერ.

1) პასუხისმგებელი უწყების მიერ მონიტორინგის ცხრილის შევსება - 6 თვის თავზე, 10 სამუშაო დღის განმავლობაში;
2) პასუხისმგებელი უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციის დამუშავება სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლის მიერ და სამუშაო ჯგუფის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის მიწოდება - 5 სამუშაო დღე
3) სამუშაო ჯგუფის წევრი სამოქალაქო საზოგადოების მიერ მონიტორინგის ცხრილის შევსება - 10 სამუშაო დღის განმავლობაში
4) სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლის მიერ მონიტორინგის შედეგების დამუშავება და სამუშაო ჯგუფის სხდომაზე წარდგენა -10 სამუშაო დღის განმავლობაში

### მონიტორინგის ანგარიშის მომზადების სიხშირე

შესაბამისად, სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში მომზადდება 6 თვეში ერთხელ, რომელიც ეფუძნება მონიტორინგის ჩარჩოს გამოყენებით მიღებულ ინფორმაციას.

თვითშეფასების მიზანი გეგმის ან სტრატეგიის იმპლემენტაციის პროცესის დეტალური ანალიზია, რომლის მეშვეობითაც იდენტიფიცირება დაგეგმილი აქტივობებიდან რა შესრულდა გეგმის მიხედვით და რა არა, რა ფაქტორებმა შეუწყო ან შეუშალა ხელი აქტივობების წარმატებით განხორციელებას და რა სტრატეგიული ცვლილებებია საჭირო უკეთესი შედეგის მისაღწევად. უფრო მეტიც, ფასდება რამდენად იქნა მიღწეული დაგეგმილი მიზანი, რომელიც სამოქმედო გეგმაშია განსაზღვრული.

როგორც წესი, თვითშეფასება ხორციელდება მონიტორინგის პროცესისგან დამოუკიდებლად და მოიცავს კითხვების შემუშავებას, მონაცემთა შეგროვებასა და დამუშავებას, რაც ემსახურება მტკიცებულებებსა და შესაბამისი დასკვნების საფუძველზე სტრატეგიული რეკომენდაციების შემუშავებას.

## სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის თვითშეფასება

თვითშეფასების მეთოდოლოგია ეფუძნება მიდგომას, რომელიც ორიენტირებულია სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი ვალდებულებების განხორციელების პროცესის შეფასებაზე და ფოკუსირებულია ხუთ ძირითად ფაქტორზე, როგორებიცაა ეფექტიანობა, განხორციელება, შიდა არსებული მექანიზმების გამოყენება და მათი ეფექტურობა, მყისიერი შედეგების მიღწევა და მოკლევადიანი შედეგების შეფასება.

### *4.1 თვითშეფასება და თვითშეფასების მატრიცა*

თვითშეფასების მიზნით შემუშავდა თვითშეფასების მატრიცა (იხ. დანართი 3) - ინსტრუმენტი, რომელიც აერთიანებს თვითშეფასებისთვის საჭირო ყველა სახის ინფორმაციას და მოიცავს მონაცემებს როგორც საბაზისო, ასევე შეფასების კრიტერიუმებისა და ძირითადი კითხვების შესახებ.

კერძოდ, თვითშეფასების მატრიცა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა ამოცანებისთვის მოიცავს ინფორმაციას მის შესრულების პროცესში ჩართული ყველა აქტორის - ძირითადი პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის, და პარტნიორი ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შეთხვევაში) შესახებ. შეფასების მატრიცაში ასევე მოცემულია ინფორმაცია, რომელიც დეტალურად აღწერს თითოეული ამოცანის შესრულების დაწყებამდე არსებულ მდგომარეობას, ამოცანის განხორციელების შედეგად მიღწეულ მთავარ მიზანს და მიზნის შესაფასებლად განსაზღვრული ინდიკატორის შესახებ ინფორმაციას.

შეფასების მატრიცაში, ასევე ასახულია თითოეული ამოცანის ქვემოთ აღწერილი შეფასების კრიტერიუმების, შესაბამისი კითხვების, და თვითშეფასებებისას გამოყენებული წყაროების შესახებ ინფორმაცია.

## თვითშეფასების კრიტერიუმები და კითხვები

თვითშეფასების მეთოდოლოგია ეფუძნება მიდგომას, რომელიც ორიენტირებულია არა მხოლოდ შესრულების პროცესის აღწერაზე, არამედ OECD-ის მიერ შემუშავებულ შეფასების ხუთ (5) მიმართულებაზე და შესაბამისად განსაზღვრავს შეფასების შემდეგ კრიტერიუმებს, ესენია: შესაბამისობა (relevance), ეფექტიანობა (efficiency), ეფექტურობა (effectiveness), გავლენა (impact) და მდგრადობა (sustainability). ასევე, შეფასებისას განიხილავს სამოქმედო გეგმის ფარგლებში გაწერილი ამოცანების და ღონისძიებების შესრულებას გენდერის შეფასების გათვალისწინებით. შესაბამისად, აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით განისაზღვრა შესაბამისი შეფასების ძირითადი კითხვები.

*ცხრილი 2: თვითშეფასების კრიტერიუმები და ძირითადი კითხვები*

| შეფასების კრიტერიუმი | კითხვა |
|---|---|
| **შესაბამისობა** | · ჯერ კიდევ რამდენად მართებულია ამოცანის მიზნები?<br>· შეესაბამება თუ ამოცანების შესასრულებლად გაწერილი ღონისძიებები ამოცანის და სტრატეგიული მიზნების დაგეგმილ შედეგებს? |
| **ეფექტურობა** | · რამდენად არის მიზნები მიღწეული/მიღწევადი?<br>· რა მთავარმა ფაქტორებმა იქონია გავლენა მიზნების მიღწევაზე/არ მიღწევაზე |
| **ეფექტიანობა** | · იყო თუ არა აქტივობები ეფექტიანი ხარჯის თვალსაზრისით?<br>· დროულად იყო თუ არა იყო მიზნები მიღწეული? |
| **გავლენა** | · რა მოხდა ამოცანის შესრულების შედეგად და რატომ?<br>· მოუტანა თუ არა რეალური განსხვავება ამოცანის/სტრატეგიული მიზნების შესრულებამ სამიზნე ჯგუფებს? |
| **მდგრადობა** | · რამდენად გაგრძელდება ამოცანის შედეგად მიღებული სარგებელი ამოცანების შესრულების შემდეგ?<br>· რა მთავარმა ფაქტორ (ებ)მა მოახდინა გავლენა ამოცანების შესრულების მდგრადობა/არა-მდგრადობაზე |
| **გენდერი** | · რამდენად გათვალისწინებული გენდერულ თემატიკასთან დაკავშირებული საკითხები ამოცანების/სტრატეგიული მიზნის განხორციელებისას? |

## თვითშეფასების ძირითადი წყაროები:

შეფასების მეთოდოლოგიის თანახმად, შეფასება ეფუძნება ქვემოთ ჩამოთვლილ ძირითად წყაროებს, ესენია:

→ შემსრულებელი დაწესებულებების მიერ მომზადებული ანგარიშები;
→ ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშები;
→ მონიტორინგის ჩარჩოს შედეგები;
→ ინტერვიუები ან/და ფოკუს-ჯგუფები ამოცანების განხორციელების პროცესში ჩართულ ყველა მხარესთან (Key informant interviews/);

→ ადგილობრივი და საერთაშორისო სარეიტინგო კვლევების/ინდექსების მიმოხილვა;

## 4.2 თვითშეფასების პროცესი

პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები წარადგენენ გეგმის შესრულების წერილობით ანგარიშს სამუშაო ჯგუფისთვის. სამუშაო ჯგუფის წარმომადგენელი ატარებს შეხვედრებს პასუხისმგებელ სტრუქტურული ერთეულების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, ასევე აგროვებს ინფორმაციას ზემოთ განსაზღვრულ წყაროებზე დაფუძნებით.

ანგარიშის დასრულებული ვერსია ეგზავნება სამუშაო ჯგუფს კომენტარებისთვის. მიღებული კომენტარების გათვალისწინებით მზადდება თვითშეფასების ანგარიშის სამუშაო ვერსია, რომელიც განიხილება სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე. სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი ამზადებს თვითშეფასების საბოლოო ანგარიშს.

## 4.3 სიხშირე და მომზადების ვადები

### თვითშეფასების ანგარიშის მომზადების ვადები

მერიის პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები წარადგენენ გეგმის შესრულების წერილობით ანგარიშს სამუშაო ჯგუფისთვის. სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი ატარებს შეხვედრებს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, ასევე აგროვებს ინფორმაციას ზემოთ განსაზღვრულ წყაროებზე დაფუძნებით. ანგარიშის დასრულებული ვერსია ეგზავნება სამუშაო ჯგუფს კომენტარებისთვის. მიღებული კომენტარების გათვალისწინებით მზადდება თვითშეფასების ანგარიშის სამუშაო ვერსია, რომელიც განიხილება სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე. სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი ამზადებს თვითშეფასების საბოლოო ანგარიშს.

1) სამუშაო ჯგუფის წარმომადგენელის მიერ თვითშეფასების ანგარიშის მომზადება და სამუშაო ჯგუფის წევრებისთვის მიწოდება;
2) სამუშაო ჯგუფის კომენტარების მიღება - 1 კვირა
3) ანგარიშის საჯარო კომენტარებისთვის განთავსება - 2 კვირა
4) სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის მიერ თვითშეფასებების შედეგების დამუშავება და სამუშაო ჯგუფის სხდომაზე წარდგენა

### თვითშეფასების ანგარიშის მომზადების სიხშირე

თვითშეფასების ანგარიში მზადდება სამოქმედო გეგმის მანძილზე ორჯერ, წელიწადში ერთხელ. თვითშეფასების ანგარიში პროაქტიულად გამოქვეყნდება მერიის ვებ-გვერდზე, ხოლო მერია მოახდენს მისი ძირითადი მიგნებების პრეზენტაციას მოქალაქეების წინაშე.

**აგვისტო 2020**

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ განსახილველად. დოკუმენტი მომზადდა Tetra Tech-ის მხარდაჭერით.